



## ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 25

26/07/2019

### ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახალციხის მძლეოსნობის სპორტული კლუბისათვის“ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 106<sup>1</sup> მუხლის მე-6 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების გამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, უსასყიდლო სარგებლობით, პირდაპირი განკარგვის წესით - თხოვებით, ორგანიზაციის არსებობის ვადით, გადასცეს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ: ბენზინზე მომუშავე ბალახის საკრეჭი მანქანა (მოდელი: Solo by AL-KO T 16-103.7 HD V2 9100W(127444), ა(ა)იპ „ახალციხის მძლეოსნობის სპორტულ კლუბს“ (ს/კ 424068065).
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღეშვილის ქ. N62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

